

მხარი ესწორებინა ან ფეხი აეწყო] მისთვის, ყოველთვის ყოფილიყო ცხოვრებასთან“ („კომ.“).

არ არის გამართლებული, ამ მრავალნაირი გამოთქმის ხმარების არე ხელოვნურად შეიზღუდოს.

პრესის ენაში ამავე ლექსიკური მნიშვნელობის გამოსახატავად ზოგჯერ რამდენადმე სახეშეცვლილ შესიტყვებებსაც ხმარობენ: **მხარს უმაგრებდა**, **მხარი შეაშველა**, **მხარი აევლება**. მაგ.: „იგი მხარს უმაგრებდა [უნდა იყოს: მხარში ან გვერდში ედგა] ი. ჭავჭავაძესა და ა. წერეთელს“ („ქართ. ლიტ.“); „ამ სიტყვაში იგულისხმება ისინიც, ვინც დროზე ვერ შეაშველა მხარი [უნდა იყოს: ვერ ამოუდგნენ მხარში] ტრესტის კოლექტივს“ („თბილ.“); „თავიდანვე ასე ღმერთგამწყრალი იყო ის ბიჭი. არადა მადლდათესილ საქმეს ძნელად აევლება მხარი“ [უნდა იყოს: აევლება გვერდი ან აქცევა მხარი]“ („ცისკ.“).

ხაზგასმული გამოთქმები ქართულსათვის არ არის ტრადიციული, ბუნებრივი. შესიტყვებების — **ზურგს უმაგრებს** და **მხარში უდგას** — შერწყმა-შეჯვარების საფუძველზეა შეთხზული **მხარს უმაგრებს**; **მხარს შეაშველებს** ორი ბუნებრივი გამოთქმის — **ხელს შეაშველებს** და **მხარს მისცემს** — კონტამინაციის გზითაა შექმნილი; ხოლო **მხარი აევლება** გამოთქმების — **გვერდს აუვლის** და **მხარს აუქცევს** — ასოციაციური დაკავშირების შედეგი უნდა იყოს.

6

ნათლია სიტყვასთან მსახდერელის ტავტოლოგიურად გამოყენების შესახებ იხ. პირველი.

ნათლობა. **ნათვლა** (<ნათლვა) საბასთან განმარტებულია, როგორც „უნათლავთ განათლება“. **ნათვლა** (მონათვლა) რელიგიური მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შედარებით იშვიათად გვხვდება. უფრო ხშირია **ნათლობა** სიტყვის ხმარება. მას თითქმის დაკარგული აქვს პირვეანდელი მნიშვნელობა და გამოიყენება მონათვლასთან დაკავშირებული წვეულების აღსანიშნავად. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში კი **მონათვლა** და **ნათლობა**, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთხელ შეიძლება იყოს, ამიტომ ის იქნება პირველიც და უკანასკნელიც.

როგორც ჩანს, ეს მნიშვნელობა დაედო საფუძვლად **ნათლობა** სიტყვის ფიგურალურად გამოყენებას, როცა ის აღნიშნავს რაიმე (საბრძოლო, რევოლუციურ, პედაგოგიურ თუ სხვ.) საქმიანობაში

(ბრძოლაში, რევოლუციურ მოძრაობაში და სხვ.) პირველად ჩაბმას, პირველად მონაწილეობის მიღებას, რაიმე საქმიანობის დაწყებას: „ჩიგი“ ომამდე დუშეთის რაიონში მასწავლებლობდა, სკოლის დირექტორიც იყო. 1941 წლის 27 ივნისს უკვე ფრონტზე გახლდათ. **საბრძოლო ნათლობა კავკასიაში**, ქალაქ გიზელის მისადგომებთან მიიღო“ („თბილ.); „მესამე ვაჟმა შოთამ **საბრძოლო ნათლობა მიიღო 1941 წლის დეკემბრის დამლევს ქერჩის მისადგომებთან**“ („თბილ.“) და სხვ. ამ გზით მივიღეთ შესიტყვებებიც: **რევოლუციური ნათლობა, პედაგოგიური ნათლობა, პოეტური (მწერლური) ნათლობა, სასცენო ნათლობა, ქორეოგრაფიული ნათლობა** და მისთ. „წლების მანძილზე ჩიგი საქართველოს ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი იყო. მისი **ქორეოგრაფიული ნათლობა** სასახლეში მოხდა“ („ახ. კომ.“).

ნათლობა სიტყვაში უკვე ჩადებულია პირველად მომხდარის შინაარსიც. ამდენად მასთან მსაზღვრელად პირველ-სიტყვის გამოყენება აღარ არის საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიღებთ აზრობრივად ჭარბი ინფორმაციის მქონე შესიტყვებას (**პირველი ნათლობა**), რომელიც თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით უფარგისია, როგორც ტავტოლოგიური შესიტყვება. ეს ვითარება არ არის ვათვალისწინებელი შემდეგ შემთხვევებში: „**პირველი საბრძოლო ნათლობა** მან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიიღო“ („კომ.“); „ახალგაზრდა ოფიცერმა **პირველი საბრძოლო ნათლობა** ქალაქ ვორთნეჟის მისადგომებთან მიიღო“ („თბილ.“); „**პირველი პედაგოგიური ნათლობა** მან თბილისის სკოლებში მიიღო“ („სახ. გან.“); „გამოდის, რომ ჩვენს გაზეთში უნდა მიიღოთ **პირველი ნათლობა**“ („წიგნ. სამყ.“); „ეს არის მისი **პირველი სასცენო ნათლობა**“ („თბილ.“); „**გამახსენდა ჩემი პირველი საკონცერტო ნათლობა**“ („განთ.“); „ეს იყო **პირველი ნათლობა**, პირველი ფრიადი, პირველი სიხარული“ (ალ. ბარამ.); „**სტუდენტთა მოძრაობაში პირველ რევოლუციურ ნათლობამიღებულმა** ნ. ნიკოლაძემ დასტოვა პეტერბურგი“ („მნათ.“) და სხვ.

ამგვარად, სიტყვა **ნათლობა** და მისი მონაწილეობით შედგენილი მყარი შესიტყვებები (**საბრძოლო ნათლობა, პედაგოგიური ნათლობა, რევოლუციური ნათლობა, სასცენო ნათლობა** და მისთ.) აღნიშნავს თავისთავად პირველ სერიოზულ გამოსვლას, გამოცდას რაიმე საქმიანობის სარბიელზე. ამიტომ მათთან მსაზღვრელად სიტყვა **პირველის** ხმარება ზედმეტია.

ნახელაზნი არის ვისიმე ხელით გაკეთებული, შექმნილი, ვისიმე ხელიდან გამოსული. ბუნებრივი შესიტყვებაა: **ჩხატის (ხუროთმოძღვრის, მხატვრის, არქიტექტორის, ოქრომჭედლის, ხელოსნის...)** **ნახე-**

ლავი — ე. ი. რასაც ოსტატის ხელი შეხებია, რაც ოსტატის ხელს შეუქმნია, ოსტატის ხელიდან გამოსული (ქმნილება, ხელსაქმე, კერძი, ნამცხვარი... ყოველგვარი ნაწარმი). მაგალითად: „...ფიქრობდა... სამარხებში აღმოჩენილ ძვირფასად **ნახელავ** უძველეს ღროს ნივთებზე“ (ს. კლდ.); „ახლა ამას გთხოვთ, მეც დამანებოთ ეს უცხოლ **ნახელავი** მშვილდი“ („ცისკ.“); „ქალაქის მოედანზედ დადგმული თუნუქის მილები... მკედლის **ნახელავი იყო**“ (ა. სულაქ.); „...მუშაობაზე თანდათან აიცრუა გული... მის **ნახელავსაც** თანდათან შეეპარა წუნი“ („თბილ.“); თბილისელ ფეიქართა **ნახელავი** არა ერთი სახეობა დიდი პოპულარობით სარგებლობს“ („თბილ.“); „რა ქნას მზარეულმა, როდესაც მის **ნახელავს** უკბილო ბავშვები... წაეტანებთან“ (აკაკი).

ამ სიტყვის ხმარება გაუმართლებელია კომპოზიტორის ან მწერლის ნაწარმოების აღსანიშნავად, ე. ი. იმგვარი ნაწარმოების (ქმნილებების) აღსანიშნავად, რომელიც ძირითადად გონების ნაყოფია და არა ნაცადი ხელით შექმნილი. ამგვარი ქმნილებებისათვის **ნახელავის** წოდება მხოლოდ ირონიულ კონტექსტს გულისხმობს. მაგალითად: „ზოგი რამ სადავო და საკამათო მეც მაქვს მის ლიტერატურულ **ნახელავებში**“ (ლ. კალანდ.); „მინც რატომ აძლევს ავტორი თავს უფლებას „იხმაუროს“ საკუთარ **ნახელავზე**“ („ლიტ. საქ.“). შეუფერებელ კონტექსტშია ნახმარი **ნახელავი** შემდეგ წინადადებებში: „კრიტიკოსი კარგად იცნობს ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე პოზიტიურ თუ ნეგატიურ რუსხმულებს და ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის სასწორზე სწონის მწერლის **ნახელავს** [უნდა იყოს: ქმნილებას, ნაწარმოებს]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ლევ კულიჯანოვის ფილმში „დანაშაული და სასჯელი“ არღანზე შესრულებული მკაცრი ქალაქური რომანსი თბილისელი ...ქიტესოვის **ნახელავია** [უნდა იყოს: ...ქიტესოვის ეკუთვნის]“ („თბილ.“); „რამდენი სპექტაკლის შემქმნელმა კოლექტივმა იგრძნო, რომ მისი **ნახელავით** [უნდა იყოს: ნამოღვაწარით, ან: მისი შემოქმედების ნაყოფით] დაინტერესებულნი ვართ“ („ლიტ. საქ.“).

მით უფრო გაუმართლებელია ამ სიტყვის გამოყენება სპორტულ ტერმინოლოგიაში, სპორტსმენის ილეთის, გამოსვლის აღსანიშნავად: „...მსაჯთა ბიურომ ბელორუსი ტანმოვარჯიშის **ნახელავი** [უნდა იყოს: გამოსვლა] 9,85 ქულით შეაფასა“ („თბილ.“).

ნოსტალგია ბერძნული წარმომავლობის საერთაშორისო სიტყვაა (nostos შინ დაბრუნება, algos ტანჯვა, ტკივილი) და აქვს ერთადერთი მნიშვნელობა: „სამშობლოს სევდა“, სევდა, გამოწვეული სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობით (უსლ.). ქართულ სალიტერატურო ენაში იგი გვიან ჩანს შემოსული (რუსულის გზით) და თითქოს არ

ქცეულა მის ორგანულ კუთვნილებად, რასაც ადასტურებს ამ სიტყვის ხმარებისას გამოვლენილი ზოგი თავისებურება თუ უზუსტობა. კერძოდ:

1. პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებისას **ნოსტალგია**ს თითქოს გაშლა-ახსნა სჭირდება. მაგ.: „**ნოსტალგია**ს, ანუ სამშობლოს სევდას, ქართულში მართლაც ხანგრძლივი ტრადიცია აქვს...“ (გ. ნატრ.); „რუსთაველის სტროფში სამშობლოდან გადახვეწილი მგოსნის სევდა სამშობლოზე (**ნოსტალგია**) სრულად არაა გადმოცემული“ (ა. ვაწერ.).

2. **ნოსტალგია** დღევანდელ სალიტერატურო ქართულში, ისევე როგორც რუსულ სალიტერატურო ენაში, არასწორად იხმარება ყოველგვარი სევდის მნიშვნელობით, რაიმეს დაკარგვით, ეინმესთან (ან რამესთან) განშორებით გამოწვეული ტკივილის აღსანიშნავად: „ქუჩის კუთხეს, რომელსაც პატიმრები ვისოსიანი პატარა სარკმლიდან ხედავენ, ჩვენ, მაყურებლები, „ვხედავთ“, მხოლოდ და მხოლოდ მათი მწვავე **ნოსტალგიის** მეშვეობით“ („ლიტ. საქ.“); „მოთხრობებში... ზურგის მშვიდობიან ცხოვრებაზე მეომრების **ნოსტალგია** მხატვრული დამაჯერებლობითაა გადმოცემული“ („ლიტ. საქ.“); „დღევანდელი კაცობრიობის გამძაფრებული **ნოსტალგია** თავისი **ბავშვობისადმი** ჩვეულებრივი ანტიკვარული გატაცება კი არაა, არამედ მისი სასიცოცხლო მოთხოვნილება“ („ლიტ. საქ.“); „ჩანს, ესოდენ საყვარელი **ბავშვობის ნოსტალგია** არ ტოვებს ეიროდუს“ (ვ. მჭედლ., თარგმ.); „მთავარი გმირი ქალის ამ შინაგანი **ნოსტალგიით** აღსავსე მონოლოგით... იწყება ეს დრამატული კინომოთხრობა“ („ეკრ. ამბ.“).

ამ სიტყვის მნიშვნელობა ზოგჯერ გაბუნდოვანებულიცაა; იგი ერთგვარ ფრაზის სამკაულად ქცეულა. მაგ.: „იღუმალისა და **ნოსტალგიის** სურნელი [იღუმალის, სევდის ან ტკივილის სურნელი თავისთავად შეუხამებელი შესიტყვებაა] მსუბუქი სევდის შთაბეჭდილებით იფანებს მკითხველის ცნობიერებაში...“ („მნათ.“); საგულისხმოა, რომ იმავე ავტორს ეს „სამკაული“ სხვა ადგილას ბრჭყალებში ჩაუსვამს: „...ერთხელ ღრმად განცდილი სევდა და ყოფიერების არაჩვეულებრივობა „**ნოსტალგიური**“ ძალისხმევით გახსენებს თავს...“ („მნათ.“).

3. **ნოსტალგიის** მნიშვნელობის გადახრამ, როგორც ჩანს, ამ სიტყვის შემოსვლისთანავე გამოიწვია გრამატიკული უზუსტობაც სხვა სიტყვებთან მისი დაკავშირებისას: **ნოსტალგიის** აგებულება გამორიცხავს მასთან მართული მსაზღვრელის (ან დამატების) ხმარებას, რადგან თვით სიტყვაშია მუდმივი სათანადო „მსაზღვრელი“: **შინა, სამშობლო**. გაფართოებული მნიშვნელობით ხმარებამ კი მას გაუჩინა ახალი მსაზღვრელი — **რისამე** სევდა (რაც შედარებით ბუნებრივია), ან — უბრა-

ლო დამატება (თანდებულიანი სახელი), რომელიც არასწორ შესიტყვებას ქმნის. იხ. ზემოთ მოყვანილ წინადადებებში: **ბავშვობისადმი** [თუ ბავშვობის?] **ნოსტალგია** და **მშვიდობიან ცხოვრებაზე** [თუ ცხოვრების?] **ნოსტალგია...** ასევე შეუფერებელია ამ სიტყვასთან ატრიბუტული მსაზღვრელის — **მშობლიურის** — ხმარება. მაგ.: „პეტრას სცივა და თვალეში **მშობლიური ნოსტალგია** ცრემლად უბრწყინავს“ („ლიტ. საქ.“).

მ

ოსტატი. არსებით სახელს **ოსტატს**, პირდაპირ მნიშვნელობასთან ერთად (რაიმე ხელობის კარგად მცოდნე, დახელოვნებული ხელოსანი), აქვს გადატანითი მნიშვნელობაც: რაიმე საქმის კარგად მცოდნე, გამოცდილი, დახელოვნებული ადამიანი. ამ მნიშვნელობით **ოსტატი** იხმარება რამდენიმე გამოთქმაში: **სცენის ოსტატი**, **სიტყვის ოსტატი**, **მხატვრული კითხვის ოსტატი** და მისთ. ჩამოთვლილ შესიტყვეებში სიტყვა **ოსტატი** ყველგან აღნიშნავს ხელოვნების ერთ რომელსავე დარგში გაწიფულს და დახელოვნებულ პირს — მსახიობს, მომღერალს, დეკლამატორს და ა. შ.

სულ რამდენიმე ათეული წელია, **ოსტატი** მჭიდროდ (თუმცა არცთუ მარჯვედ) დაუკავშირდა კიდევ უფრო ზოგად სახელს — **ხელოვნებას**: **ხელოვნების ოსტატი**. მაგრამ მიღებული შეხამების მნიშვნელობა დიდად არ გაფართოებულა, პირიქით, ერთგვარად დაეიწროვდა კიდევ: ძირითადად სცენაზე, ესტრადაზე გამომსვლელ მუსიკოს-შემსრულებელს აღნიშნავს (მომღერალს, მოცეკვავეს, ინსტრუმენტალისტს...). ამ შეხამებამ გარკვეულ კონტექსტებში არსებითად გამოდევნა ადრევე შექმნილი მყარი შესიტყვებები: **ხელოვნების მუშაკი** და **ხელოვნების მოღვაწე**, რომელთა მნიშვნელობა ამჟამად, როგორც ჩანს, უფრო გაფართოებულია: გულისხმობს ხელოვნების ორგანიზატორებსაც — ხელოვნების სფეროში მომუშავე ადმინისტრაციულ და, არცთუ იშვიათად — ტექნიკურ პერსონალსაც კი. უდრ., ერთი მხრივ: **ხელოვნების ოსტატთა** (და არა **ხელოვნების მოღვაწეთა ან მუშაკთა**) **კონცერტი** და, მეორე მხრივ: **ხელოვნების მუშაკთა სახლი**.

ბოლო ხანების ქართულ პრესაში გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი შეხამება — **კულტურის ოსტატი (ოსტატები)**. გაჩნდა იგი საიუბილეო თარიღის — გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოში რუსი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. მაგ.: „**კულტურის ოსტატთა** პატივსაცემად“ („კომ.“ — სათ.); „საქართვე-